ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4076244

ნომერი: AR1611828

თარიღი : 27.06.2018

გაცემის თარიღი : 18.07.2018

გაცნობის თარიღი : 18.07.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლება (ყოფ. დავითაშვილი), ჩიხი III , N 6 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დავითაშვილი , ჩიხი III , N 3 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლება (ყოფ. დავითაშვილი), ჩიხი III , N 2 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დავითაშვილი , ჩიხი III , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3677330 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 27 ივნისს №AR1611828 განცხადებით მომართეს ვლადიმერ აბრამიშვილმა, ირაკლი კემულარიამ და თემურ გვაგვალიამ და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3677330 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3677330 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი-მთაწმინდა), ამაღლების ქ. ჩიხი III, N6/დავითაშვილის ქ. ჩიხი III, N3/ამაღლების ქ. ჩიხი III, N2/დავითაშვილის ქ. ჩიხი III, N4–ში, ამხანაგობა ,,ეკო სახლი დავითაშვილზე'' და შპს სამშენებლო კომპანია მონუმენტმშენის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (N 01.15.05.090.027) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2018 წლის 10 იანვრის №3767031 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა 2017 წლის 17 ნოემბრის №3677330 ბრძანებაში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა - 1965.5 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად - 4016.5 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3677330 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, უთითებს რომ ავტოსადგომის ფართობი 488.1კვ.მ-ის ნაცვლად უნდა და იყოს 524.1 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობი 4016.5 კვ.მ-ის ნაცვლად - 4052.5 კვ.მ. ასევე წარმოდგენილია შესაბამისი გეგმები.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3677330 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: ავტოსადგომის ფართობი: 524.1 კვ.მ, საერთო ფართობი: 4052.5 კვ.მ. სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3677330 ბრძანებით შეთანხმებული -3.00 და 0.00 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით. სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3677330 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3677330 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.